საქართველოს საელჩო
ქ. ბრიუსელი
EMBASSY OF GEORGIA
BRUSSELS

37643-16-3-201908021350

№ 37643-16
02/08/2019

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ ვახტანგ მახარობლიშვილს

ასლი: ევროინტეგრაციის გენერალური დირექტორატის უფროსს
ბატონ არჩილ ყარაულაშვილს

ბატონო ვახტანგ,

გაცნობებთ, რომ მ.წ. 29 ივლისს გაიმართა შეხვედრა ბელგიის იმიგრაციის სამსახურის ოფიცერთან, ქ-ნ ქეითი ვერზელენთან. შეხვედრას დაესწრნენ კონსული ეკატერინა ჭავჭავაძე, ბელგიაში საქართველოს პოლიციის მეკავშირე ოფიცერი ნიკოლოზ ქავთარაძე, მისიის მეორე მდივანი ნანა ბარბაქაძე-ლენარტსი და მისიის უფროსი მრჩეველი სალომე სალუქვაძე.

შეხვედრაზე განხილულ იქნა არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებული გამოწვევები და ცირკულარული მიგრაციის პერსპექტივები.

ქ. ვერზელენს მიეწოდა ინფორმაცია საქართველოს მხარის მიერ უვიზო რეჟიმის გამოწვევებზე საპასუხოდ დამატებით გატარებული ღონისძიებების თაობაზე. ასევე, ინფორმაცია საქართველოში საზღვრის კონტროლის თემაზე TAIEX-ის მისიის შესახებ.

ქ. ვერზელენმა წარმოადგინა სტატისტიკა ქართველების მხრიდან თავშესაფრის მოთხოვნებისა და მათთვის საზღვარზე უარების თაობაზე. აღინიშნა, რომ 2019 წლის პირველ ნახევარში (იანვარი-ივნისი), 2018 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, შემცირდა თავშესაფრის მოთხოვნები.

	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
2018	54	89	121	63	86	58
2019	36	37	53	33	36	28

ბელგიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წინასწარ მიმართა შესაბამის სამსახურებს თავშესაფრის განაცხადებზე დადებითი გადაწყვეტილების სტატისტიკის მოძიების მიზნით, თუმცა შეხვედრამდე ვერ მიიღო მოცემული ინფორმაცია. მის ხელთ არსებული (გადაუმოწმებელი) ინფორმაციით, დადებითი გადაწყვეტილებების პროცენტი დაახლოებით 12 %-ია.

Rue Père Eudore Devroye, 245, 1150 Woluwe St.Pierre, Brussels
ტელ./Tel: +32 (2) 761 11 90; ფაქსი/Fax: ++ 32 (2) 761-11-99; ელ-ფოსტა/E-mail: geomission.eu@mfa.gov.ge

ბელგიის წარმომადგენელი ზოგადად კმაყოფილი იყო თავშესაფრის განაცხადების კლების ტენდენციით, თუმცა აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია ყურადღებით დავაკვირდეთ სტატისტიკას ქუთაისი-შარლერუას პირდაპირი რეისის ამოქმედების შემდეგ.

მისივე ინფორმაციით, 2019 წლის ივლისის მონაცემებით, ბელგიაში ლეგალურად ყოფნის უფლება აქვს საქართველოს 1526 მოქალაქეს *(აქედან ძირითადად ოჯახის გაერთიანების მოთხოვნით, 65 - მუშაობის ნებართვა და 33 სასწავლო ნებართვა).* ქართველების უმრავლესობა ბელგიის ფლანდრიულ ნაწილშია რეგისტრირებული (მათ შორის, დიდი ნაწილი ანტვერპენში), თუმცა ვალონიაში განსაკუთრებული კონცენტრაციაა ლიეჟში.

ბელგიის წარმომადგენელმა ასევე დადებითად შეაფასა საქართველოსა და ბელგიას შორის რეადმისიის კუთხით თანამშრომლობა. ქ. ვერზელენს ეცნობა, რომ საქართველო-ევროკავშირის რეადმისიის ერთობლივი კომისიის მორიგი სხდომა დაგეგმილია ქ. თბილისში მ.წ. 17 სექტემბერს.

ქ. ვერზელენმა აღნიშნა, რომ გაეცნო და დადებითად აფასებს საქართველოსა და ევროკომისიას შორის შეთანხმებულ, უვიზო რეჟიმის გამოწვევებზე რეაგირების სამოქმედო გეგმას. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა **საზღვრის კონტროლის** საკითხზე. ბელგიის წარმომადგენელმაც დაადასტურა, რომ ამ კონტექსტში განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ წევრ ქვეყნებს, პირადი მონაცემების დაცვის მოთხოვნის გათვალისწინებით, არ აქვთ უფლება მესამე ქვეყანას გაუზიარონ ინფორმაცია შენგენის შესვლაზე უარების თაობაზე. მესამე ქვეყანას მიეწოდება მხოლოდ იძულებით დაბრუნებული პირების თაობაზე ინფორმაცია. მისივე თქმით, აღნიშნული პრობლემა ასევე თავს იჩენს ალბანეთთან თანამშრომლობაში, რომელიც აქტიურად ითხოვს SIS-ში დაცული ინფორმაციის გაზიარებას. ქ. ვერზელენის თქმით, იმიგრაციის სამსახურმა შეიმუშავა დადგენილების პროექტი რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ალბანეთისთვის გარკვეული ინფორმაციის მიწოდება, თუმცა პროექტს ბელგიის შიგნით წინააღმდეგობა შეხვდა და ამ ეტაპზე მიღებული არ არის. საელჩო ყურადღებით დააკვირდება ბელგიასა და ალბანეთს შორის აღნიშნული მიმართულებით განვითარებებს და დამატებით გაცნობებთ. ბელგიის მხარეს ეცნობა საქართველოში კერძო კომპანიების მიერ განხორციელებული მგზავრების კონტროლის თაობაზე.

ქ. ვერზელენმა კიდევ ერთხელ ისაუბრა ბელგიაში საქართველოს მოქალაქეების მიერ თავშესაფრის განაცხადების განხილვის პროცედურების ვადებზე *(15 დღე განხილვის პერიოდი და 10 დღე გასაჩივრების პერიოდი, ჯამში 25 დღე).*

რაც შეეხება ევროკავშირის ელექტრონულ სისტემას მგზავრობის წინასწარი ავტორიზაციისთვის (ETIAS), ქ. ვერზელენმა აღნიშნა, რომ სავარაუდოდ სისტემა 2024 წლამდე ვერ ამუშავდება (ოფიციალური ინფორმაციით, სისტემის ამუშავების თარიღია 2021 წლის იანვარი). საელჩო დამატებით გადაამოწმებს აღნიშნულ ინფორმაციას და გაცნობებთ.

შეხვედრაზე საუბარი ასევე შეეხო **საინფორმაციო კამპანიას.** ქ. ვერზელენმა აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმაში საუბარია წევრი ქვეყნების ჩართულობაზე და დაინტერესდა მაგალითად ბელგიისგან, კონკრეტულად რა ტიპის ჩართულობას საჭიროებს საქართველოს მხარე. გთხოვთ, **ბელგიური მხარის შემდგომი ინფორმირების მიზნით გვაცნობოთ თუ**

კონკრეტულად რა ტიპის ჩართულობა/დახმარება სურს საქართველოს საინფორმაციო კამპანიების დაგეგმვისა და წარმართვის პროცესში. ბელგიური მხარე დაინტერესებული იქნებოდა ჩაერთოს საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვისა და გზავნილების შემუშავების პროცესშიც.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ამუშავდა ვებ-გვერდი www.factsaboutbelgium.be, რომელიც წარმოადგენს საინფორმაციო პორტალს მიგრანტებისთვის. აღსანიშნავია, რომ ვებ-გვერდი ორიენტირებულია მხოლოდ უკანონო მიგრაციაზე და არ შეიცავს ინფორმაციას ლეგალური მიგრაციის საკითხებზე.

შეხვედრაზე საუბარი ასევე შეეხო **ლეგალური მიგრაციის** შესაძლებლობებს ბელგიაში. აღინიშნა, რომ ლეგალური (რეგულარული) მიგრაციის საკითხები ბელგიაში რეგიონულ დონეზე წყდება, ხოლო ცირკულარული მიგრაციის კონკრეტულ პროექტებზე შესაძლებელია იმიგრაციის სამსახურთან მუშაობა. ბელგია დაინტერესებული იქნებოდა ცირკულარული მიგრაციის პროექტებით, რომლებიც დროში განსაზღვრული და მიზნობრივ ჯგუფებზე ორიენტირებულია, თუმცა აღინიშნა, რომ ცირკულარული მიგრაციის პროექტების განხორციელება ყოველთვის დიდ თანხებთან არის დაკავშირებული *(მაგალითისთვის, ტუნისთან განხორციელებული ერთი პროექტი (ტუნისის 30 მოქალაქის მონაწილეობით) 350 000 ევრო დაჯდა).* მისივე თქმით, მნიშვნელოვანია ევროკავშირის მიერ გამოყოფილი ფინანსური დახმარება (MPF – Mobility Partnership Facility) უფრო ეფექტიანად დაიხარჯოს ცირკულარული მიგრაციის პროექტებზე. ასევე, არაფორმალურად აღინიშნა, რომ ხშირად პროექტები ფერხდება მიგრაციის პოლიტიკის განვითარების ცენტრსა (ICMPD) და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას (IOM) შორის არსებული ინსტიტუციური დაძაბულობის გამო. მაგალითისთვის, რიგ შემთხვევებში IOM-ს არ მოსწონს ევროკავშირის ბიუჯეტით პროექტის განხორციელება ICMPD-ის ჩართულობით.

ქ. ვერზელენს მიეწოდა დეტალური ინფორმაცია ლეგალური და ცირკულარული მიგრაციის კუთხით ბელგიურ მხარესთან გაწეული სამუშაოს თაობაზე. ასევე, ეცნობა, რომ საქართველო დაინტერესებულია ბელგიასთან ითანამშრომლოს ე.წ. დეფიციტური პროფესიების მიმართულებით, სეზონური დასაქმების რეგიონალური პროგრამებით და ბელგიის მხარის მიერ საქართველოს ელჩთან შეხვედრაზე აღნიშნული სპეციალური პროგრამით, რომლის შესახებ დეტალების დაზუსტების მიზნით საელჩო აწარმოებს კონსულტაციებს ბელგიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან. ქ. ვერზელენი დაინტერესდა თუ კონკრეტულად რა ტიპის ცირკულარული მიგრაციის პროექტების განხორციელება სურს საქართველოს ბელგიურ მხარესთან.

პატივისცემით,
ნატალი საბანაძე

საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი